



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 335

ქალაქი ქუთაისი                    28                    დეკემბერი                    2016 წელი

სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“  
გრანტის მიღების თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის  
მერის, შოთა მურღულიასათვის თანხმობის მიცემის შე ე ს ა ხ ე ბ

საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის 2016 წლის 12 ივლისს გაფორმებული გრანტისა და სასესხო ხელშეკრულებების ფარგლებში, საქართველომ საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტისათვის მიიღო დაფინანსება.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ, სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“ მეშვეობით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შეისყიდა კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანები და ნარჩენების კონტეინერები. აღნიშნული ქონების საფასური ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ, გადახდილ უნდა იქნეს, ფონდისთვის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტსა და ფონდს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირველი მუხლის შესაბამისად, ფონდი გადასცემს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანებსა და ნარჩენების კონტეინერებს, რომლის საფასურის გადახდას ბენეფიციარი უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად. ხსენებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანებისა და ნარჩენების კონტეინერების საფასური შედგება სესხისა და გრანტის თანხებისგან, ამასთან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის გადასახდელი თანხა მოიცავს მხოლოდ სესხის თანხას დამატებული საპროცენტო განაკვეთი. გრანტის თანხა შეადგენს 53647,66 (ორმოცდაცამეტიათას ექვსასორმოცდაშვიდი და სამოცდაექვსი მესხედი) ევროს.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე:

**მუხლი 1.** მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, შოთა მურღულიას სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან“ მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტისათვის შეძენილი კომპაქტორიანი ნაგავშიდი მანქანებისა და ნარჩენების კონტეინერების საფასურის გადახდის მიზნით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სახელით მიიღოს გრანტი (53647,66 ევრო), ასევე, გააფორმოს შესაბამისი ხელშეკრულება.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,  
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის  
შემსრულებელი ბექა ყანჩელი